

კინგის მათემატიკის ოლიმპიადა - II ტური

მე-6 კლასი

ძირითადი ამოცანები (40 ქულა)

- რომელია სწორი?
A. $32*5+7*32-2*32=352$ B. $19*29+11*29-29*23=203$ C. $47*13-4*47-7*47=96$
- რა რიცხვზე უნდა გავყოთ ოცდაჩვიდმეტისა და ცხრამეტის ჯამი, რომ მივიღოთ თოთხმეტი?
A. ოთხზე B. შვიდზე C. რვაზე
- რიცხვი, რომელიც $5*17$ -ზე მეტია, მაგრამ $7*15$ -ზე ნაკლები, არის:
A. $6*16$ B. $4*18$ C. $9*13$
- რომელია მცდარი?
A. $2*3*4<3*3*3$ B. $3*5*7<5*5*5$ C. $3*4*6<4*4*4$
- რა უდიდეს რიცხვზე შეიძლება გავამრავლოთ 29, რომ ის მაინც 320-ზე ნაკლები იყოს?
A. 10-ზე B. 11-ზე C. 12-ზე
- სანდრომ ჩაიფიქრა ნატურალური რიცხვი, დაუმატა ორი, გაამრავლა ორზე და ორნიშნა რიცხვი მიიღო. რა უდიდესი რიცხვი შეიძლება ჩაეფიქრებინა სანდროს?
A. 49 B. 48 C. 47
- 3 წლის შემდეგ ნიკო ნინოზე ორჯერ უფროსი იქნება, 1 წლის წინ კი სამჯერ უფროსი იყო. რამდენი წლისაა ნიკო?
A. 12-ის B. 13-ის C. 16-ის
- თედო პაპამ ხეივანში თანაბარი შუალედებით ერთ მწკრივად დარგო ხეები. მერამდენა მარჯვნიდან ხე, რომელიც მარცხნიდან მე-17-ეა, თუ ხეივნის სიგრძე (მანძილი პირველიდან ბოლო ხემდე) არის 300 მეტრი, ხოლო ნებისმიერ ორ მეზობელ ხეს შორის მანძილია 2 მეტრი?
A. 135-ე B. 133-ე C. 134-ე

ბონუს ამოცანები (10 ქულა)

- ორი რიცხვის ჯამი 2-ზე გაყოფისას ნაშთს გვაძლევს 1-ს. რა ნაშთს მოგვცემს 2-ზე გაყოფისას ამავე რიცხვების სხვაობა (დიდს გამოკლებული პატარა)?
A. 0-ს B. 1-ს C. ვერ დავადგენთ
- ყუთში 3 წითელი, 4 მწვანე და 5 ლურჯი ბურთია. მინიმუმ რამდენი ბურთი უნდა ამოვიღოთ ყუთში ჩაუხედავად, რომ ამოღებულ ბურთებს შორის აუცილებლად გვექონდეს სამივე ფერის თითო ბურთი მაინც?
A. 8 ბურთი B. 11 ბურთი C. 10 ბურთი